საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
მერი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72,

ბრძანება

N 2450
14/05/2020

2450-0-4-202005141150

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზების მიზნით ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და მე-13 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართში წარმოდგენილი მოძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, 2020 წლის 15 მაისს ვებგვერდზე www.eauction.ge გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით აუქციონატორის უფლებამოსილება მიენიჭოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს, II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მიხეილ შილაკაძეს (პ/ნ 330011010219);

3. ქონების საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად;

4. განაცხადის გაკეთების ვადად განისაზღვროს 2020 წლის 15 მაისის 15:00 საათიდან 2020 წლის 29 მაისის 15:00 საათამდე პერიოდი;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

6. ბრძანება ძალაშია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

კონსტანტინე შარაშენიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია